წელიწადი მეორე · ფასი 7 კაპ. · კვირა, 19 თიბათვე 1916 წ. · № 136

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

## ვერის პარკში კვირას, 19 თიბათვეს ვერის პარკში

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოება თავის ქონების გასაძლიერებლად ჰმართავს

## დიდ სახალხო სეირნობას

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ტუმბო, რგოლების სროლა, ნიშანში სროლა, ყვავილები, კონფეტი, მკითხავი და სახალხო სკრიპკის დამკვრელი ილიკო ქურხული.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 40 კ., პატარებისათვის 25 კ. ✦ ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“. დასაწყისი დილის 11 საათზე.

სადილის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, შუადღის 12—5 საათამდე. 5 საათის შემდეგ—სამხედრო მუსიკა. მისახვლელი გზები: ოლღას ქუჩიდან, ვერის ხიდის ყურიდან და პასტეროვის ქუჩის მხრივ ბორნით.

ქართულ გამომცემელ ამხანაგობა „საქართველოს“-ს გამგეობა მწუხარებით აუწყებს წევრებს, რომ 16 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 16 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე უეცრად გარდაიცვალა „საქართველოს“ მახლობელი თანამშრომელი

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე. ყაზბეგის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 37. გამოსვენება ორშაბათს საღ. 6 საათ. დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა სამშაბათს, 21 თიბ. დიდუბის პანთეონში.

გრიგოლ, ზაქარია და ილია თევდორეს ძენი ყიფშიძენი და მათი მეუღლენი—ბარბარე რაფაელის ასული, ეკატერინე ივანეს ასული და ეკატერინე ვილჰელმის ასული, ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ივნისის 16-ს უეცრად გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი ძმა და მეორეთა მაზლი

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, (ყაზბეგის ქუჩა № 37). გამოსვენება ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა სამშაბათს 21 თიბათვეს დიდუბის პანთეონში.

ხუთშაბათს, 15 თიბათვეს, საღამოთი უეცრად გარდაიცვალა

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე,

რასაც ულრმესის მწუხარებით აცხადებენ განსვენებულის გულმოკლული ძმა ზაქარია თევდორეს ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული ყიფშიძენი შვილებით.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 37). (2—უ—2)

ხუთშაბათს, 16 თიბათვეს, ნაშუად. 4 საათზე, უეცრად გარდაიცვალა

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის და, მარიამ თევდორეს ასული ხონლულაშვილისა და სიძე, მღვდელი იოანე ხონლულაშვილი.

(1-235-1)

ანნა ანდრიას ასული და ვასილი სპირიდონის ძე ბარკალაია და შვილები მათი: ბაბილინა, ვასილი და აკაკი უგულითადეს მადლობას სწირავენ ყველა იმ პირთ, ვინც მათ პირველთ უძვირფასესი ასულის, ხოლო უკანასკნელთ უსაყვარლესი დის

## თამარა ბარკალაიას

უდროვოდ გარდაცვალების გამო ღრმად დამწუხრებულთ თანაგრძნობა და ნუგეში გამოუცხადა პირადის დასწრებით თუ დეპეშებ-წერილებით. (1—236—1)

საადგილ-მამულო კომისია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას თავის წევრის დაუღალავ მოღვაწის

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის

უეცრივ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაზე (ყაზბეგის ქუჩაზე № 37). გამოსვენება ბინიდან ორშაბათს, 20 თიბათვეს, საღამოს $5^1/_2$ საათზე დიდუბის ეკლესიაში. წირვა და დაკრძალვა იქვე, სამშაბათს 21 თიბათვეს. (3-231-2)

გიორგი კაჯარდუნოვი მწუხარებით აცნობებს თავის მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა

## მიხეილ პავლეს ძე ალნიაშვილი

პანაშვიდი შაბათს, 18 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, (შუა ბაზარი, სომხების მისახვევი). გამოსვენება კვირას, 19 თიბათვეს, ანჩისხატის ტაძარში. დაკრძალვა იმავე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

(1-233-1)

ირაკლი ესტატეს ძე ფურცელაძე და ძული ბარბარე ესტატეს ასული ფურცელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

## მელანია (ელენე) ივანეს ასული ფურცელაძის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის თავზე გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში, დღეს, შუადღის 12 საათზე.

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 20—26 ივნისამდე.

ორშაბათი—ოპერეტკა
სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი მ. ა. ვოლფ-იზრაილის ლოტბარობით.
ოთხშაბათი—სიმფონიური კონცერტი სახსოვრად რიმსკი კორსაკოვისა მესის ლოტბარობით.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა—საზანდარი.
პარასკევი—სინემატოგრაფი-კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა, ვოლფ-იზრაილის ლოტბარობით.
შაბათი—დიდი სიმფონ. კონცერტი და ლექცია ბ. სამინსკის ლოტბარობით.
კვირა—საყმაწვილო საღამო—სამხედრო ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მომატებულია: მამაკაცისა 1 მ.—05 კ. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. (1—146—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 181, საზაფხულო შენობაში)

კვირას, 19 თიბათვეს, რუსულ ენაზედ წარმოდგენილი იქნება მხიარული ოპერეტა

## დაგნეულნი ცხვარნი

2 მოქმედ.

ლოტბარობს ჰ. ჰ. ფალიაშვილი

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ წარმოდგენაზე შესვლა უფასოა

(1-147-1)

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦

## კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

## ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 20 თიბათვეს საღამოს 9 საათზე კლუბის სადგომში დანიშნულია კლუბის წევრთა

## საგანგებო კრება

განსახილველია: მიმდინარე საკითხები და არჩევნები მუდმივ მოსიარულეთა.

(1—145—1)

# ალ. ყიფშიძის გარდაცვალება

## ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე

(ნეკროლოგი)

შავმა სიკვდილმა სწორედ რომ ჩვენთვის მოიცალა. შეუბრალებლად, არაჩვეულებრივი სისასტიკით ასალმებს წუთისოფელს ჩვენი ერის საუკეთესო გულის შემატკივართა და მოღვაწეთა და ბედშავს ქვეყანას უკაცურად ჰქმნის. აი ერთიც ეხლა გამოგვგლიჯა ხელიდან. ხუთშაბათს, ივნისის 16-ს, ასე ნაშუადღევის 4 საათზე, როცა სადეპუტატო საკრებულოდან შინ ბრუნდებოდა, თავის ბინიდან რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით უეცრად გარდაიცვალა ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, ეროვნულ საქმის ჩუმი, შეუმჩნეველი გმირი. ალექსანდრე იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელთა ნაშრომი მუდამ მტკიცე საფუძვლად ედება ხალხის კეთილდღეობასა და წარმატებასა.

განსვენებული ღვდლის შვილი იყო. დაიბადა სოფელ წვერში 1862 წელსა. ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და მერე თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ უკანასკნელ სასწავლებელში მხოლოდ მეოთხე კლასამდე დაჰყო, შემდეგში კი აღარ მოისურვა სემინარიაში სწავლის გაგრძელება, გაათავა მე-4 კლასი და საუნივერსიტეტო სიმწიფის მოწმობისათვის დაიწყო მზადება. მაგრამ აქ ცოტა ბედმა უმტყუნა, იძულებული გახდა გიმნაზიის მე-8 კლასში შესულიყო და ისე მოეპოვებინა უნივერსიტეტისათვის საჭირო მოწმობა. 1884 წელს განსვენებული ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე. 1888 წელს გაათავა ხსენებული უმაღლესი სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნებისას თბილისის სახაზინო პალატაში შევიდა და აქედან მოყოლებული 1906 წლამდე სულ სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურებდა: ჯერ იყო საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებლად, მერე დაინიშნა საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნად და შემდეგ რამოდენიმე ხანს ახალციხის მომრიგებელ შუა კაცად. სულ ბოლოს, მოძრაობის დროს, მთავრობამ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად დანიშნა, მაგრამ მალე უკმაყოფილება გამოუცხადა განსვენებულს და სახელმწიფო სამსახურიდან სრულიად დაითხოვა.

ალექსანდრე ერთი იშვიათთაგანი ადამიანი იყო. მართალია მეტი წილი თავის ცხოვრებისა მოხელეობაში გაატარა, მაგრამ თავის პიროვნება მაინც არ დაუკარგავს: მოხელეობამ ვერ ჩაყლაპა, მოხელეობამ ვერ აქცია არარად. პირიქით ეს მოხელეობა განსვენებულმა თავისთვის ერთნაირ თავისებურ სკოლად გაიხადა. ბევრი რამ სასარგებლო მოსძებნა მთავრობის დაწესებულებებში და ამოსწურა. მოხელეობისას განსვენებულმა საუცხოვოდ შეისწავლა საადგილ-მამულო საქმე. ალექსანდრეს ბადალი ამ საქმეში ძნელად თუ სადმე მოიპოვება ჩვენ ქვეყანაში.

განსვენებული არ კმაყოფილდებოდა მთავრობის სამსახურით და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში. ჯერ ისევ სტუდენტი იყო როცა სალიტერატურო ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოვიდა და მას აქეთ კალამი არ შეუჩერებია. პირველ ხანებში ჟურნალ „ივერიაში“ და გაზეთ „დროებაში“ თანამშრომლობდა. ეს მაშინ იყო როცა „დროებას“ სერგი მესხი რედაქტორობდა. 1889 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობის დროს გაზეთ „ივერიის“ კოლეგიის წევრად მიიწვიეს. დაახლოვებით ამავე წელს დასწერა თავისი ცნობილი პირველი მონოგრაფია „მთიულეთი“ და რამოდენიმე წლის შემდეგ კიდევ „ამბოხება კახეთის“. გაზეთ ივერიაში თანამშრომლობდა თითქმის 1904 წლამდე. უკანასკნელ ხანებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჯერ ჟურნალ „კლდეში“ და მერე გაზეთ „საქართველოში“.

სახელმწიფო სამსახურის თავის დანებების შემდეგ ალექსანდრე მთელი თავისი არსებით ჩაება ქართულ-კულტურულ განმანათლებულ უმთავრეს დაწესებულებებში და მათ სასარგებლოდ დაუზარებლივ შრომას ეწეოდა. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავის დღეში არ დაივიწყებენ ძვირფას ალექსანდრეს და მუდამ სანახსოვროდ ექნებათ მისი ნაღვაწლი.

1907 წელს თავად-აზნაურთა საკრებულოსთან დაარსდა საადგილ-მამულო კომისია და ალექსანდრე საქმეთა მწარმოებლად იქმნა მიწვეული. განსვენებული დიდის მუყაითობით შეუდგა მუშაობასა. მოსვენებას არ აძლევდა თავის თავს. დიდი ხნის გამოცდილებით შეძენილს ცოდნას ფართო ასპარეზი მიეცა და თავისუფლად ფრთა გაშალა. ალექსანდრეს სიკვდილით საადგილ-მამულო კომისიამ თავის უმთავრესი ბურჯთაგანი დაჰკარგა.

განსვენებული დაუზარებლივ აკეთებდა ყოველგვარ საქმეს, როგორც საზოგადოს, ისე კერძოს, ოღონდ კი ერთიც და მეორეც ერის კეთილდღეობისაკენ ყოფილიყო მიმართული.

წამებული სამშობლო არას დროს არ დაივიწყებს თავის ერთგული შვილის ღვაწლსა და მუდამ მადლობით მოიხსენიებს განსვენებულის სახელს თავის ბედში და უბედობაში.

ი. ხ.

## კიდევ ერთი ძვირფასი დანაკარგი

ყოველ მზეს ჰყავს თავისი თანამგზავრი ვარსკვლავი, რომელიც შუქს და ბრწყინვალებას თავისის წინამორბედის მზისგან ითვისებს, იმის გზას მისდევს და იმისავე მგზავრს კვალს ამჩნევს გავლილს მიდამოს, ატმოსფერას.

ჩემ წარმოდგენაში ალექსანდრე ყიფშიძე ამ გვარი მნათობი ვარსკლავი იყო საქართველოს ბრწყინვალე მზის ილიას თანამგზავრად შობილი, აღზრდილი და თანაზიარი ყოველ იმის საქმეთა და აზრთა განხორციელებაში, თავის ერის ბედის ჩარხის ტრიალში.

ენა მშვენიერი, ლიტერატურული სტილი, მტკიცე და ოქროსავით გამოჭედილი, ვაჟკაცობა უზადო, სიმხნევე შეუფერხებელი და მრავალმხრივი, ზნეობა მაღალი და წრფელი, ყოველ ორ პირობას და ორ აზროვნობას მოკლებული, ხასიათი ამაყი და შეუდრეკელი, რწმენა მკვიდრი და შეურყეველი. ცხოვრების გზა არჩეული პირველი ნაბიჯიდანვე სიკვდილის პირამდე და სარწმუნოებად ქცეული სამშობლოს სიყვარული და მისი სამსახური, აი რაგვარი მოქალაქე იყო ეს უებრო, შესანიშნავი კაცი და რა ძვირფასი, ჯერედ ჭარმაგი და ძალღონით სავსე მოღვაწე გამოგვაცალა ულმობელმა ბუნებამ, ბუნებამ სასტიკმა და უსამართლომ, რად დაგვარბია ასე უსამართლოდ ამ ბოლოს დროს, რად გვტაცებს საუკეთესო ერის წარმომადგენლებს?

ეკ. გაბაშვილისა.

# დაუვიწყარ აღმზრდელს

ახალგაზრდობა ირაზმებოდა და ძველი და საშუალო თაობიდან ბევრი თანამოაზრე, თანამგრძნობიც ამხნევებდა, დახმარება და სიყვარულს ჰპირდებოდა, ყალიბდებოდა განსაზღვრულ ფორმებსა და შინაარსში; მის გარშემო გამეფებულ ანტიეროვნულ ატმოსფერაში ძნელი იყო პირველი ნაბიჯები, მაგრამ ახალგაზდობას, ჯანსაღობას და სიყვარულს მამულისადმი ბევრი რამ შესძლებია. იგიც იბრძოდა და სძლევდა, იბრძოდა და ადგილს იკაფავდა გარშემო... თანაგრძნობა და თანამოაზრეობა ამ დროს ძველი თაობისა მეტად პასიური, უსიცოცხლო გახდა და მტერთა ლაშქარის უფრო გამაძლიერებელი... მაგრამ იყო ერთი ცოცხალი ადამიანი, გულწრფელი მამულიშვილი, რომელიც იმ თავითვე გვერდში ამოუდგა ახალგაზდობას და ბერი მინდიასავით „მგლის მუხლი“ გამოიბა ახალ საქმეში. ეს ცოცხალი ადამიანი იყო ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც მუდამ იბრძოდა და მუდამვე თავმდაბლად ამბობდა: მე მებრძოლი არა ვარო. მართალია, იგი არ იყო მებრძოლი მყვირალა, ყიჟინის დამცემი, მტრის ბანაკის ამკლები, მაგრამ მისი მადლიანი კალამი და სიტყვა აათასკეცებდა მოძმეთა ძალას და ძირს უთხრიდა მტრისასა. ერიდაციით სავსე მისი წერილი და ცოდნით აღჭურვილი სიტყვა გარშემო ჰფენდნენ ცოდნას, სიყვარულს სამშობლოსადმი და კულტურისადმი. „კულტურა“—ეს საყვარელი მცნება იყო ამ მართლაც კულტუროსან ადამიანისა.

ასეთი იყო ძვირფასი ალექსანდრე და ასეთად დარჩა ჩვენ შორის ბოლომდის, უკანასკნელ წუთამდის, რომელმაც გახურებულ საქმეზედ მოასწრო. ალექსანდრე არ მოერიდა ქვეყნის აყაყანებას, არ მოერიდა ძველ არსებულ ჯგუფთა წყალთა ამღვრევას და გაბედულად დაიწყო თანამშრომლობა ჩვენს ჟურნალ „კლდეში“, რომელმაც პირველად გაბედა გაცხრილვა სოციალურ ეროვნულ და პოლიტიკურ მემარცხენობა-მემარჯვენეობისა. თუ სოციალურ საკითხებში უარჰყო უტოპიური სოციალისტური ოცნებანი და „მარჯვნივ“ დაიწია, სამაგიეროდ ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხებში მარჯვნივ დასტოვა მემარცხენე მეოცნებენი და რეალ საქმეთა გაფურჩქვნით შეეცადა გაემაგრებინა ეროვნულ-პოლიტიკური მემარცხენეობა. ალექსანდრეს სიტყვა და საქმე, მისი წერილები ბაგრატიონზედ, ხიზანთა საკითხზედ, სომხებზედ თუ სხვა სოციალ-პოლიტიკურ საკითხებზედ ყოველთვის გაჟღენთილი იყო გამამხნევებელი ეროვნული კილოთი და ესა გვმატებდა ჩვენც ენერგიას ბრძოლისას. ჟურნ. „კლდის“ გარშემო შემოიკრიბა კარგა მოზრდილი ჯგუფი და ამ „შეკრებაში“ დიდი ღვაწლი მიუძღოდა ალექსანდრეს, მის ავტორიტეტულ სიტყვას და ცოცხალ, მომხიბლავ პიროვნებას. „კლდე“ გაფოლადდა, გაკაჟდა თავის მისწრაფებათა განხორციელებასა და მოღვაწეობას იღებდა ყოველს მის ნაბიჯში. ასეთმა თანამგზავრობამ მიგვიყვანა „საქართველომდი“ და განსვენებული იმავე სიყვარულით და აღფრთოვანებით შეჰყურებდა ზრდას ჩვენი ძალებისას. მისი რჩევა, ცოცხალი სიტყვა ყოველთვის თანამგზავრი იყო ჩვენი მოქმედებისა და სულ უკანასკნელი სიტყვაც ჩვენ გვეკუთნოდა: როდესაც ვუსაყვედურეთ პესსიმიზმი სიბერისა, ჩვეულებრივად ცეცხლით აენთო თვალები და არწივივით დაგვძახა: იქნებ მართალია, დავბერდი, მაგრამ მაამებს თქვენი სურვილი ბრძოლისა და ჩემი ლოცვა-კურთხევაც თქვენსკენ არისო...

ცოცხალი ცეცხლით იყო ანთებული ძვირფასი ალექსანდრე და ცოცხალ საქმეზედ ცოცხალი გარდაიცვალა... არც ავადმყოფობა, არც სულიერი დაცემა. მისი სიცოცხლით სავსე სიტყვა და საქმე, უხვი თესლივით გაბნეული ახალგაზდათა გულში ერთი ათასად იქცევა და სამშობლოსათვის ძვირფასს გამოიღებს ნაყოფსა—ეს იყოს ძეგლი საუკეთესო და უმაღლესი შენთვის, დაუვიწყარო ალექსანდრე!

რ. გ.

# იშვიათ ქართველის ხსოვნას

განსვენებულ ალექსანდრე ყიფშიძის მრავალ ფეროვან და მდიდარ მოღვაწეობის დაფასების შესაფერისი ხანა ჯერ არ დამდგარა.

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ ეხლა დგება კალაპოტში და ისიც დიდის ბრძოლით აღწევს თავს გამეფებულ რომანტიულ-დოქტრინიორობის ბურუსსა. იგი მხოლოდ ეხლაა რეალისტურ ფორმების გამოსახვის ცდაში.

ალექსანდრე ყიფშიძე ამ ახალ რეალისტურ მოძღვრების გულწრფელი და უკეთილშობილესი მოთავე იყო.

ჩემი ერისათვის „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო“. ბევრჯელ უხუმრია განსვენებულს. მთელი მისი შესანიშნავი მოღვაწეობა მართლაც ამ მარტივ რეალიზმისათვის მსახურობა იყო.

ისტორიკოს-ფილოლოგი განათლებით და აღზრდით თავაზიანი ევროპიელი, ალ. ყიფშიძე არ მოერიდა თბილისის საგუბერნიო მართველობის უბრალო მოხელის ტვირთს, რათა ესარგებლნა გუბერნატორის კანცელიარიის არქივით, სადაც მოგროვილი იყო დიდ-ძალი მასალა საქართველოს ისტორიიდან. და მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ ალექსანდრე ყიფშიძე აქვეყნებს თავის საუცხოვო პირველ მონოგრაფიას: „მთიულეთი 1804 წელს“ და უფრო გვიან ამავე მასალების შემწეობით მეორე საყურადღებო გამოკვლევას: „ამბოხება კახეთისა 1812 წ.“.

მაგრამ ამით არ კმაყოფილდება ახალგაზრდა „მოხელე“. ხალხის ცხოვრების გაცნობის წყურვილი იტაცებს. იგი მომრიგებელ შუამავლად ახალციხეში მიდის. აქ თვალწინ ეშლება დაბეჩავებულ ქართველ მაჰმადიანთა უსინათლო ცხოვრება. თავისებურ უნარით და დაკვირვებით ალ. ყიფშიძე ეცნობა ქართველ მაჰმადიანთა საკითხს და „დიდებულ მესხეთში“, საუცხოვო ფერადებით, ცოდნით და ენით აღწერს ქართველ მაჰმადიანთა წარსულს და აწმყოს აქ გაისმის პატრიოტ ივერიელის საყვირის ძლიერი ხმა:

„შველა ჩაგრულ ქართველ ძმებს“!

და ამის შემდეგ უკანასკნელ დღემდის ალექსანდრე ყიფშიძეს ქართველ მაჰმადიანთა დამცველთა პირველ რიგში ვხედავდით.

1905 წლის ამბოხების ხანაშიაც ალ. ყიფშიძემ თუვიცე გუბერნატორობა იკისრა დასავლეთ საქართველოში, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ერს დაჰხმარებოდა. ამოძრავებულ ხალხს მხარში უდგება, ეცნობება მის ჭირვარამს და სცდილობს ძალდაუტანებლივ დააშოშმინოს იგი და განადგურების ხიფათს ააცდინოს. მოასწრო და მოახერხა მარტო სამხედრო წესების გაუქმება. სხვა საკეთილო საქმე არ დასცალდა, რადგან იგი გუბერნატორ სტაროსელსკისთან ერთად, მთავრობის მიერ დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან. ხალხის ცხოვრების შესწავლამ და მოხელეობის საქმიან გამოცდილებამ მის მომავალ საზოგადო მოღვაწეობას განსაკუთრებული საქმის ელფერი მისცა. კაი მცოდნე გლეხთა კანონებისა, სოფლის ეკონომიურ მდგომარეობისა და ქართულ მიწის მფლობელობის საკითხისა, ალექსანდრე ყიფშიძე დიდ კვალსა სტოვებს თბილისის სადეპუტატო საკრებულოსთან დაწესებულ საადგილ მამულო კომისიის მუშაობაზე. აქ სავსებით იჩინა თავი ა. ყიფშიძის „რეალისტურ სკოლამ“ და აღიბეჭდა იმ მრავალ და დაუფასებელ ნაშრომებზედ, რომელიც საადგილ-მამულო და დეპუტატთა საკრებულოს საქმეებში დღეს ინახება.

ყველა მისი დაკვირვებული ნაწერი, ყოველი გამოკვლევა და მოხსენება გაჟღენთილია ქართველობის ინტერესების დაცვით და იმ პრაქტიციზმით, რომელშიაც განსვენებულს მეტოქე არ ჰყავდა არც ერთ იმ დაწესებულებაში, სადაც იგი თანამშრომლობდა. ნამეტნავად ამ „პრაქტიციზმის“ შედეგები საადგილმამულო კომისიის მუშაობას ემჩნეოდა. ამის გამოისობით ბევრმა ქართულმა თხოვნამ, ა. ყიფშიძის მიერ შედგენილმა, გააპო გაქვავებული გული მაღალ მოხელეობისა, ბევრმა მისმა გონიერ და საქმიან მოხსენებამ დროზედ შეაყენა ქართველებზე მოწყობილი იერიშები და არა ერთი და ორი ცრემლი დაუშრო უპატრონო და დევნილ ქართველ გლეხკაცსა.

შთამომავლობით ღარიბ მღვდლის შვილი, ალექსანდრე, რასაკვირველია, დემოკრატი იყო. მას უყვარდა „დემოსი“, უზომოდ უყვარდა ქართველი გლეხი და თუ ბევრჯელ უგუნურებისათვის თავისებურად სტუქსავდა მას, სამაგიეროდ მამაშვილურად არიგებდა და მუდმივ უვლიდა.

ქართველი გლეხკაცობა, რომელმაც ათასობით გაიარა ამ 9 წლის განმავლობაში საადგილ-მამულო კომისია, დიდათ დავალებულია, ამ ხალხის მოყვარე და დამხმარე, ალ. ყიფშიძის მიერ. და ამ ვალს თუ გადიხდიან ალექსანდრეს გონიერ და საქმიან რჩევა-დარიგებას ცხოვრებაში განხორციელებით.

რეალისტურმა მიდრეკილებამ ალ. ყიფშიძე „კლდე—საქართველოს“ გამოცემების სათავეში მოაქცია, სადაც იგი აგრევე გულმოდგინეთ და ხალისით ეწეოდა პუბლიცისტის უღელს და ახალგაზრდა მოღვაწე ჟურნალისტთა წრეში თავისი საქმიანობის კილო შეჰქონდა.

ალექსანდრე ყიფშიძის სახით ჩვენმა ხალხმა მართლაც ძვირფასი და წარჩინებული ქართველი დაჰკარგა.

დადგება ჟამი,—ჟამი საქართველოს ამაყ შვილთა წელში გასწორებისა, მის ეკონომიურ ცხოვრების გაშლაგასწორებისა და მაშინ, მარტო მაშინ, დაფასდება თავდადებული პიონრობა ამ ძვირფას „საქმის კაცისა“.

თავდადებული—ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობით.

დღე და ღამის მოუსვენარ შრომამ და ფიქრმა მოჰქანცა ალ. ყიფშიძის სხეული. დაღლილ ტვინს აპოპლექსიამ დაჰკრა და ერთს წუთს გააქრო დაუფასებელი ადამიანი—დაუფასებელი, მით უფრო ამ ჟამთა გაჭირვებისას.

როდესაც განსვენებულს ტანთსაცმელის უბეები გაუსინჯეს, აღმოაჩინეს ორი ახალი საგულისხმო ქართული მოხსენება-პროექტი.

ერთი გადაწერილი და დამზადებული, მეორე შავად შედგენილი.

ეშურებოდა შინ, რომ ეს მეორეც დაემთავრებინა...

მაგრამ სხვაფრივ დამთავრდა თვით მისი ნათელი ცხოვრება:—თავის სახლის ახლოს პირქვე დაეცა და ხმა ამოუღებლივ დალია სული.

და თუ თანამედროვე ქართველობა ამ იშვიათ ქართველ მამულიშვილის წინაშე ქუდს მოიხდის. მომავალი ქართველობა ქედს მოიხრის.

რადგან ამ იშვიათ ქართველის რეალისტურ ღვაწლის სავსებით დაფასება მარტო მომავალ და ახალ საქართველოს შეუძლიან.

დ. ვაჩნაძე

# ალ. ყიფშიძის გარდაცვალების გამო

**გლოვის ზარმა ძალუმად ჩამორეკა...** ალექსანდრეს მოულოდნელმა სიკვდილმა, ვინც კი მასთან დაახლოებული იყო და ვინც მას იცნობდა, ყველას გული დასწყვიტა.

აღარ არის ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე!

აღარ გვყავს ჩვენი პირის უფალი!

მეტად ფაქიზი ადამიანი იყო.

თავაზიანი და ყველასთან ზრდილი—თითონაც მოითხოვდა, რომ მას ზრდილობით მოჰპყრობოდნენ.

იგი იყო საქართველოს მოყვარული და დიდებული პატრიოტი. მთელი საქართველო—როგორც ხუთი თითი ისე იცოდა, ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა მას გაცნობილი ჰქონდა.

ახალციხელი, იმერელი, ქართლელი, კახელი მას ყველა იცნობდა.

და თუშ-ფშავ-ხევსურიც გაჭირების დროს ალექსანდრესთან გამორბოდნენ.

საადგილ-მამულო კომისიის ბურჯი იყო და მისი სულის ჩამდგმელიც.

დეპუტატთა საკრებულოც მას ანგარიშს უწევდა.

მას ეკითხებოდნენ, მის რჩევა-დარიგებას იღებდნენ.

მისი მოხსენებანი დეპუტატთა საკრებულოსი, თუ საადგილ-მამულო კომისიისა ძვირფას საისტორიო მასალას წარმოადგენს.

და სხვა რამ ბევრი მასალაც დაგვიტოვა, რომელიც მოითხოვს მის გამორკვევას და ერთად შეკრებას.

და რაც შეეხება მის ისტორიულ მოთხრობებს, „მთიულეთს“ და „ამბოხება კახეთში“, ეს ხომ ყველამ კარგათ ვიცით.

იგი იყო მოტრფიალე გლეხ-კაცთა მამულის შეძენისა და იგი იყო უსასტიკესი კერძო საკუთრების დამცველი.

— მემამულე ვაიძულოთ, რომ დაკლებულ ფასში მიჰყიდოს გლეხს თავისი მამული, შევეკითხე ერთხელ პატივცემულ ალექსანდრეს.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია! შეჰყვირა თავის მკახე ხმით,—მაშ შენ რომ საშრომოს იღებ, გაუნაწილებ გლეხსა? ან რომელიმე ინტელიგენტი, რომელიც თავის გონებით შრომობს და ცხოვრობს, გაუნაწილებს ნაშრომს ვისმე? რასაკვირველია, არა! და აგრეთვე მემამულეც თავის უკანასკნელ საცხოვრებელს ეთხოვება და არავითარი უფლება არა გვაქვს ძალა დავაყენოთ, რომ თავის მამულს ფასი დაუკლოს. ეს მისი სრული უფლებაა. მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა თხოვნით და მორიდებით მემამულეს და გლეხს შორის საქმე გაუთაოთ. მაგისთანა მიმართულებით იცოდე ჩემგან, ფონს ვერ გახვალთ.

—

1908 წელს ზაფხულში სოფ. ავლევში მობძანდა ალექსანდრე მოსარიგებლად თ-დ ამირეჯიბების და გლეხებს შორის მამულის შეძენის თაობაზედ.

თ-დ ამირეჯიბები შეღავათის პირობებით და დაკლებულ ფასებში უთმობდნენ თავიანთ ჩირგვნარს მამულს ავლევილ გლეხებს.

ორი დღე დარჩა ალექსანდრე, რომ როგორმე მოერიგებინა, გლეხებს ბევრი ელაპარაკა და ბოლოს უთხრა:

— ეს მამული ხელიდან არ გაუშვათ, თორემ იცოდეთ, ბოლოს ინანებთ.

ერთმა გლეხმა წამოისროლა, თანაც სულელურად იცინოდა, გრძნობდა, რომ შეუსაბამს ჩმახავდა:

— მამული ისედაც უფასოთ მოგვეცემა და თავი რაღათ გავიცხელოთო.

ალექსანდრეს ძალიან ეწყინა ასე მოულოდნელად საქმის დატრიალება, მას არაფერი უთხრა, მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— აი ჩვენი სოციალისტების ნამოქმედარი, ლამის ჩვენი ხალხი ბოგანოდ დარჩეს.

მას შემდეგ იმ მამულში ოსები ჩაასახლეს და ავლელები ცარიელები დარჩნენ.

დღესაც მოიგონებენ ხოლმე ალექსანდრე ყიფშიძეს:—იმ კურთხეულ ადამიანს არ დაუჯერეთ და დახე რა მოგვივიდაო!

დღეს კი მამულის ფასმა ერთი სამად და ოთხად აიწია, გლეხობა არაფერს ერიდება, აწეული ფასებისა არ ეშინიან და თანდათან მამულს იძენს.

დღეს საადგილ-მამულო კომისიის დახმარებით, რომლის ბურჯიც ალექსანდრე ყიფშიძე იყო, გლეხებზედ გადავიდა ამ 9 წლის განმავლობაში 48,000 დესეტინა მამული ღირებული ნახევარ მილიონად.

და ამდენივეც კომისიის გარეშე შეიძინეს გლეხებმა.

ალექსანდრე ყიფშიძე იყო დარაჯი, რომ მამული უცხოს ხელში არ გადასულიყო და ამ სადარაჯოზედ სული განუტევა.

ერთხელ კიდევ ჩვენს არე-მარეზედ გლოვის ზარმა ძალუმად ჩამორეკა!..

და ნუ შევდრკებით, სადაც არ არს, იქ არაფერი დაიქცევა!

Legatus.

# ალექსანდრე ყიფშიძე

გარდაიცვალა ალექსანდრე **ყიფშიძე (ფრონელი)**, გაზეთ „საქართველოს“ მახლობელი თანამშრომელი, ხოლო საქართველოს გულწრფელი და თავდადებული შვილი...

მთელი სიცოცხლე მან ეროვნულ საქმეს შესწირა.

ცხოვრების სხვა და სხვა სარბიელზედ—მწერლობაში თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ის მუდამ უებრო მამულიშვილი იყო, ნამდვილი ქართველი.

ალექსანდრე ყიფშიძის მწერლობა მისი სულის სარკეა, მამულიშვილის ფიქრთა და ზრახვათა სარკეა...

ვის არ განუცდია წმინდა მღელვარება მისი ისტორიული მოთხრობების კითხვის დროს?

ვინ არ გაჰყოლია მწუხარე ფიქრით მის საყვარელ ეროვნულ გმირებს, როდესაც ისინი თავ-განწირვით დასტრიალებდენ ტყვედ ქმნილ ეროვნულ თავისუფლებას? თვით ალ. ფრონელი ხომ განუშორებელი თანამგზავრია ამ წარსულის ძვირფას აჩრდილთა. ის მათ არ სტოვებს არც მთაში, არც ბარში, ის მათ არ შორდება უცხო ქვეყნებშიც, რომ მათი ზრახვა და განაცადი განწირულება გაუზიაროს საქართველოს ეხლანდელ შვილებს, სულიერად დაუძლურებულ შვილებს...

განისვენე მშვიდათ, დაუვიწყარო მამულიშვილო... შენ სამშობლოსთვის დიდათ იტანჯე და სიყვარულით მიგიღებს შენი სათაყვანო სამშობლოს მიწა.

# თბილისი დაკრძალვის წეს-რიგზე

17 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, საადგილ-მამულო კომისიის მიერ თავად-აზნაურთა საკრებულოში მიწვეულ იყვნენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი განსვენებულის ნეშთის დაკრძალვის წეს-რიგის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრება დაიწყო $8^1/_2$ ს. აღნიშნულ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გრ. ქურდიანმა. კრებას დაესწრნენ თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და წარმომადგენელნი სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა, თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

კრებამ მოისმინა და შეიწყნარა კომისიის შემდეგი დადგენილებანი:

1) განსვენებულის ცხედრის მთელ დასაკრძალავ ხარჯს კისრულობენ საადგილ-მამულო კომისია და თავადაზნაურობა; 2) ნეშთი დაიკრძალება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბის ეკლესიის გალავანი); 3) ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან ორშაბათს, 20 თიბათვეს, საღამოს $5^1/_2$ ს. და მიასვენებენ დიდუბის ეკლესიაში; 4) მარშრუტი პროცესიისა ასეთია: ყაზბეგისა და იზმაილოვის ქუჩების გავლით ბელინსკის ქუჩა, საცა თავად-აზნაურთა საკრებულოსთან, გადახდილ იქმნება პანაშვიდი.

შემდეგ ბელინსკისავე და ოლღის ქუჩებით პროცესია გაივლის და გაჩერდება ოლღასა და მოსკოვის ქუჩების შესართავთან, საცა აგრეთვე გადახდილ იქნება მცირე პანაშვიდი.

პროცესია გაივლის ვერის დაღმართის და კიროჩნის ქუჩით გავა მიხეილის პროსპექტზე, საიდანაც იგი გაემართება დიდუბისაკენ. 5) ნეშთი დაიკრძალების სამშაბათს, 21 თიბათვეს, წირვის შემდეგ. 6) დაკრძალვის წესრიგს და საერთოდ დაკრძალვის შესახებ განკარგულებას კისრულობს საადგილ-მამულო კომისიის შემადგენლობა; 7) ამავე კომისიას დაუდგენია ყოველ წლობით გადასდევას არა უმცირეს 300 მანეთისა, რომელიც მოხმარდება პრემიად საუკეთესო თხზულებებს, საერთოდ ადგილ-მამულის შესახებ საკითხების გამორკვევას, რასაც განსვენებულმა მოანდომა დიდი დრო და ენერგია თავის სიცოცხლეში.

კრებამ მოისმინა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელების სიტყვები: 1) **ვ. ი. რცხილაძემ** განაცხადა, რომ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, რომ ნაცვლად გვირგვინის ყიდვისა გადასდევს 100 მანეთიო; 2) **ბ-ნმა ა. ახათიანმა** განაცხადა—გაზ. „საქართველო“-ს თანამშრომლისა და გამომცემელ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრის განსვენებულ ალ. ყიფშიძის ხსოვნის აღსანიშნავად გადასდვა 300 მან. ეს თანხა გადაეცემა ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას განსვენებულის სახელობის პრემიის დასანიშნავად საისტორიო თემაზედ დაწერილ საუკეთესო ნაშრომისათვის მისაცემად; 3) **ბ-ნმა დ. კარიჭაშვილმა** განაცხადა, რომ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ ნაცვლად გვირგვინის ყიდვისა გადასდვა 50 მან. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ.

კრებაზე ლაპარაკი აღიძრა შესახებ გვირგვინებისა და ის აზრი გამოითქვა, რომ დაწესებულებათათვის სავალდებულოა გვირგვინების სყიდვის ნაცვლად ფული გადასდევან რაიმე კეთილ საქმისათვის, რაც შეეხება კერძო პირებს, მათს სურვილზეა დამოკიდებული, უნდათ გვირგვინით შეამკობენ კუბოს და სურთ, ფულს გადასცემენ.

შემოსულ ფულის შესახებ თითქმის ერთხმად ის აზრი გამოითქვა: რადგან საადგილ-მამულო საკითხის შესახებ საუკეთესო ნაწარმოებთათვის საადგილ-მამულო კომისია აპირებს ყოველ წლობით საკმაო თანხის გადადებას, დანარჩენ დაწესებულებათა და კერძო პირთაგან შემოსული ფული გადაეცეს ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას პრემიის დასანიშნავად საქართველოს ისტორიის საუკეთესოდ შემდგენლისათვის.

დასასრულ კრებამ აირჩია მცირე კომისია, რომელშიაც შედიან დ. ვაჩნაძე, სანდრო შანშიაშვილი და ირ. სონღულაშვილი. ამ კომისიას ევალება წეს-რიგი მისცენ ცხედრის დაკრძალვის დღის სიტყვების წარმოთქმას.

უკანასკნელად—კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ შემოდგომაზე გაიმართოს საუბარი განსვენებულის მოსაგონებლად და მის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

# სამძიმრის დეპეშები

**ახალციხე.** ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების წევრნი ქართველი მაჰმადიანები და ქართველ მუსულმანთა მთელი საზოგადოება ახალციხის მაზრისა, გულწრფელად იზიარებს ქართველთა მწუხარებას ყოველი ქართველისათვის ძვირფას ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

**ზურაბ შაჩიევი.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ჩვენი ძვირფასი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალების გამო. მან თავისი თავი სავსებით შესწირა საყვარელ სამშობლოს.

**ოცხელი.**

—

**ქუთაისი.** ალექსანდრე ფრონელიყიფშიძის უეცარმა გარდაცვალებამ ულრმესად დამამწუხრა. განახლებული საქართველო არ დაივიწყებს განსვენებულს.

**ვეშაპელი.**

—

**პანაშვიდები.** 17 თიბათვეს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. მღვდელთმოქმედება შეასრულეს დეკ. კალ. ცინცაძემ და დეკ. ი. მირიანაშვილმა. გალობდა ქვაშვეთის ეკლესიის მგალობელთა გუნდი. პანაშვიდს დაესწრნენ: გუბერნიის მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, წევრნი საადგილ-მამულო კომისიისა, წარმომადგენელნი წერა-კითხვის საზოგადოებისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, საქველმოქმედო საზოგადოებისა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ და საფინანსო დაწესებულებათა, წარმომადგენელნი „საქართველო“-ს და „ზაკავკაზ. რეჩი“-ს რედაქციებისა, ქართული გიმნაზიისა და მრავალი პატივის მცემლები განსვენებულისა.

გუშინ, 18 თიბათვეს, ვინაიდან შაბათი იყო და მღვდლებს მწუხრი უნდა შეესრულებინათ, ამიტომ პანაშვიდი დანიშნული იყო საღამოს 8 საათზე.

## თბილისი, 19 თიბათვე

**ეროვნული კაპიტალი.** ქართველი დასელების იდეურმა ხელმძღვანელმა ბ. ანმა ამ დღეებში მეტის-მეტად მნიშვნელოვანი წერილები მოათავსა გაზეთის ფურცლებზე (იხ. „თან. აზრის“ ფელეტონები, №№ 120—128). გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი თავის წერილებში სხვათა შორის შეეხო ერთს საკითხს, რომელიც ამ ბოლო დროს დიდს ყურადღებას იპყრობს ჩვენს პრესაში: სახელდობ ეროვნული კაპიტალის მნიშვნელობას.

შეიძლება მკითხველს ახსოვდეს რომ ეროვნული კაპიტალის მნიშვნელობას ამ ცოტა ხნის წინათ ან სრულიად უარჰყოფდნენ ან კიდევ დიდათ ამცირებდნენ ჩვენს ყოველდღიურს ლიტერატურაში. ყველაზე უცნაური ის არის რომ ამ შემთხვევაში ერთგვარი ცრუმარქსისტული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. ამტკიცებდნენ რომ მშრომელი ხალხისათვის სულ ერთია ვინ გაყვლეფს მას და ვინ მიითვისებს მის მიერ შექმნილ ზედმეტს ღირებულებას: ქართველი, სომეხი თუ სხვა ვინმე გადამთიელი კაპიტალისტი. ცოტაოდენი პესიმიზმიც ერია ამ სოფლმხედველობაში: ამბობდნენ რომ ქართველმა მსხვილმა ბურჟუაზიამ დაიგვიანა და მისი ადგილი უკვე უცხო ელემენტებმა დაიჭირეს ჩვენს სამშობლოში. ეს შეხედულება სხვათა შორის სომეხმა მარქსისტმა ბ. იშხანიანმაც გამოსთქვა თავის ცნობილს ბროშურაში.

ბ. ანი თავის უკანასკნელ წერილებში ამტკიცებს, რომ ასეთს იდეებს არაფერი აქვს საერთო არც ჭეშმარიტ მარქსიზმთან, არც სხვა რაიმე საღ მსოფლმხედველობასთან. ავტორი სცნობს, რომ ეროვნული კაპიტალის გაძლიერება და მსხვილი ბურჟუაზიის წარმოშობა საქართველოში აუცილებელიც არის და სასურველიც. აუცილებელია ის კაპიტალიზმის შინაგანი კანონების მიხედვით: ერს არ შეუძ-

ლიან შუაგზაზე შეჩერდეს თუ კი ის ერთხელ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, ეს ყოველგვარ ადამიანურ ძალღონეს აღემატება: „როგორც ბავშვის დაბადების შეჩერება არ შეიძლება არც ახალი კლასის დაბადების შეჩერება, თუ კი ერი მაზე ორსულია“. ავტორის შეხედულობით კი ქართველ ერს დღეს აშკარად ეტყობა ამ თავისებური ორსულობის ნიშნები: დღევანდელმა უმაგალითო სისხლის ნიაღვარმა თან მოიტანა უმაგალითო ფულის ნიაღვარიც. გამდიდრება, კაპიტალის დაგროვები საერთო ლოზუნგად გადაიქცა. მთელს ერს მოედო ის დამახასიათებელი ციებ-ცხელება, რომელიც სხვათა შორის გეშეფტმახერობაში და სპეკულიაციაში იხატება. ბოლოს შეირყა ძველი თავად-აზნაურული და ფილისტერული ფსიხოლოგია, რომელიც ასე უშლიდა ხელს ჩვენს ეკონომიურ განვითარებას: ქამა-სმითა და სტუმარ-მასპინძლობით თავმომწონეობა, შრომის და ნაშრომის დაუფასებლობა, გადაჭარბებული ნათესაური ურთიერთობა, თანასწორობის ძიება სიღარიბეში და სხვ.. მის ადგილას ანგარიშიანობისა და საქმიანობის ფსიხოლოგია განმტკიცდა.

ბ. ანი აღიარებს, რომ მსხვილი ბურჟუაზიის წარმოშობას ღრმა კულტურული მნიშვნელობა აქვს. მისი შეხედულებით მხოლოდ მსხვილი კაპიტალი ჰქმნის მომავალი სოციალური წყობილების ეკონომიურ საფუძველს. უცხო კაპიტალი ვერასოდეს ვერ მოახდენს ისეთ ყოველმხრივ და ღრმა ცვლილებებს ერში, როგორათაც ნაციონალური კაპიტალი. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ადგილობრივ შექმნილი ზედმეტი ღირებულება ადგილობრივ არ იხარჯება და მაშასადამე ნაციონალური ზედმეტი შრომა ნაციისთვის უსარგებლოდ ტარდება. გარდა ამისა უცხო კაპიტალი შედეგია უცხო ქვეყნის განვითარების, რაც ჩვენში კაპიტალთან ერთად არ გადმოდის“. ბოლოს უცხო კაპიტალს შეწყვეტილი აქვს სულიერი კავშირი ქართველობასთან და არ აპოხიერებს არც მის ლიტერატურას და მეცნიერებას, არც მის აღზრდა-განათლებასა და ქველმოქმედების ნიადაგს.

ბ. ანს სასაცილოდაც არ ჰყოფნის ის აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს კოოპერატივის შემწეობით სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის ბრძანებლობის შეზღუდვა. ამ შეხედულებას ჩიტირეკიათა უტოპიას უწოდებს! ის სრულიად სამართლიანად აღიარებს რომ კოოპერატიული კაპიტალი ყველგან იმდენად მცირეა კერძო კაპიტალთან შედარებით რომ არსებით ქიშპობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ესეც არ იყოს დღევანდელ საზოგადოებაში მომხმარებელთა კოოპერაცია იმავე კერძო საკუთრებისა და შრომის ექსპლოატაციის ნიადაგზე სდგას როგორც ტრესტი, სააქციონერო საზოგადოება და კერძო მწარმოებელი და ამ უკანასკნელთან მხოლოდ იმით განსხვავდება რომ მეტოქეობას უწევს ჩარჩობასა და სპეკულიაციას სურსათის მიწოდებაში. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ კოოპერატიული მოძრაობა რაღაც ძირითადს რევოლიუციას იწვევდეს საზოგადოებრივს წესწყობილებაში.

მკითხველი ადვილად შეამჩნევდა რომ ბ. ანი ზემოდ მოყვანილ შეხედულებებით ბევრს რამეში ეთანხმება ჩვენი ორგანოს სოფლმხედველობას თვით ავტორი არ მალავს ამ გარემოებას. ის აღიარებს რომ „საქართველოელთა“ პოზიცია კულტურული და პროგრესიულია, რომ ქართველ დასელებს შეუძლიანთ რამდენიმე მანძილზე მათთან ერთად იარონ ძირითადი სამოქალაქო უფლებების მოსაპოებლად.

ასეთი დასკვნა ჩვენ ოდნავაც არ გვაკვირვებს. როგორც ბ. ანს, ისე ჩვენ გულწრფელად გვსურს ჩვენი სამშობლოს აღორძინება, მისი დაყენება ევროპიულ კულტურის გზაზე. როგორც ბ. ანი, ისე ჩვენ უფლებრივ წესწყობილების დამყარებაში, დემოკრატიის განმტკიცებაში და ეკონომიურ გაძლიერებაში ვეძებთ საშუალებებს ჩვენი მიზნის მისაღწევად. კარგად ვიცით რომ ბ-ნი ანი ჩვენი თანამოაზრე არ არის: მაგრამ თუნდ ხვალ მასთან, როგორც იდეიურ მოპირდაპირესთან, ხმლის გარდაჭდომა მოგვიხდეს, დღეს სიამოვნებით ვეთანხმებით მის წერილებში გამოთქმულ საღ შეხედულებებს.

## ახალი ბანკი

ახალი სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერთაგან ბანკის ძირითადი თანხის შეკრება ბრწყინვალედ დასრულდა. განზრახული იყო ბანკის ძირითადი თანხის ნახევარი ნაწილის შეკრება, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. შეიკრიბა გაცილებით მეტი და ეხლა აზრიც კი იბადება იმის შესახებ, რომ ამ ახალი ბანკის ძირითადი თანხა გადიდებული იქმნეს.

ასეთს შედეგებს ძვირად თუ ვინმე მოელოდა. ბევრს ეჭვიც კი ებადებოდა, თუ განზრახული ბანკის თანხა შეიკრიბებოდა, თუ მას ასეთი ყურადღებით მოეკიდებოდა ჩვენი საზოგადოება. დღეს ახალი ბანკის საფუძველი მტკიცედ ჩაყრილად უნდა ჩაითვალოს—ძირითადი თანხა შეკრებილია და საზოგადოებაც ბანკის გახსნას მოუთმენლად მოელოდება. მაზედ ის დიდს იმედებს ამყარებს. ჯერი მიდგა საორგანიზაციო მუშაობაზედ. ბანკის ორგანიზაციის შექმნა, ბანკის გახსნა და ოპერაციების დაწყება,—აი ის საფეხურები, რომელნიც კიდევ გასავლელი აქვს ამ დიად საქმეს. რაც აქამომდე გაკეთებულა—ყოველივე ეს ასეთი ბანკის დიდი საჭიროების ნაყოფია. საზოგადოების ფართე წრეებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ამ ბანკის შექმნაში. იმათ სრულის ნდობით აღჭურვეს საქმის დამწყებნი და გადასცეს მათ საჭირო თანხა. დანარჩენი საქმე უკვე ამ ახალი საქმის მეთაურთ მოეკითხებათ. მათს უნარზედ და გარჯაზეა დამოკიდებული ამ ახალი საქმის ბედი. ისინი როგორც დამწყებნი და მეთაურები შეიმუშავებენ ბანკის ორგანიზაციას, ისინივე მისცემენ პირველს მიმართულებას ახალი ბანკის მუშაობას. თანხა, რომელიც საზოგადოებამ გაიღო მხოლოდ საშუალებაა, იარაღი, რომლის სავსებით გამოყენება დამოკიდებულია იმათზედ, ვის ხელშიაც ის იქმნება. მეთაურთა უნარი ააყვავებს ამ დაწყებულ საქმეს და მით მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას მტკიცე საფუძველს ჩაუყრის. ფიქრადაც არ გვინდა გავიტაროთ შიში, ვითომც ამ ბანკსაც ჩვენი სხვა დაწესებულებების ბედი ეწიოს, ვითომც ახალს საქმეს თან დაჰყვეს ის საშინელი სენი. რომლითაც შეპყრობილია ყველა ჩვენი სავაჭრო დაწესებულებები.

ნუ თუ შესაძლებელია რომ ამ ახალ საქმეში, რომელზედაც ჩვენი საზოგადოება ასე დიდს იმედებს ამყარებს და რომლისგან ქართველი ერი ელის მთელი თავისი ეკონომიური ძალების ამოქმედებას, დამყარდეს ძველი წესები, ძველი ზნე და ჩვეულებანი, ისეთი როგორც ყველა სხვა ჩვენს დაწესებულებებშია. ჩვენ არ გვინდა ასეთი ეჭვი გავიტაროთ ფიქრად. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ამ საქმის დაწყებით ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში ამოძრავდა ახალი აქამდე უჩინარი ძალა და ის შესძლებს შთაბეროს ამ ახალს საქმეს ახალი სული, და მიუჩინოს მას ახალი სამოქმედო გზა.

ამ ახალს საზოგადოებრივ ძალას, რომელიც იკრიბება სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გარშემო კარგათ აქვს შეგნებული ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უძლურების და დაქსაქსულობის მიზეზები. ის მის გამოსწორებას და განკურნებას უნდა შეუდგეს. ჩვენს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში გამეფებულ ზნე-ჩვეულებებში ვაჭრულ მორალის და წესის განმტკიცებით შესძლებს მხოლოდ ის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების საღს და ბუნებრივ ნიადაგზედ დამყარებას.

დღეს კი თითქოს არ არის განსხვავება ჩვენში სავაჭრო, განმანათლებელ თუ საქველმოქმედო დაწესებულებათა შორის. ყველა ისინი ერთნაირად ქველმოქმედობენ, ერთნაირად ემსახურებიან საზოგადოებრივ საჭიროებებს დ ერთნაირად სუსტნი და უძლურნი არიან. ეკონომიურ შემოქმედებაში. ამის მაგალითები მრავალია, მაგრამ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები და ჰიათურის მრეწველობა უფრო ნათლად გვიხატავენ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სრულს გზააბნეულობას. ორი დიდი საადგილ-მამულო ბანკი, რომლის მსგავსი ძვირად თუ სადმე მოეპოება ჩვენსავით პატარა ერს, და დიდს რუსეთსაც მხოლოდ რამოდენიმე აქვს, დიადი ეროვნული მიზნებით დაარსებულნი, რომელთა შემწეობით ჩვენ ბევრი რამ შეგვეძლო გაგვეკეთებინა, ძნელი სათქმელია—საზარალო შეიქმნენ ჩვენთვის თუ სასარგებლო. იმის მაგივრად, რომ მათი შემწეობით ჩვენ დაგვეცვა ჩვენი ეროვნული მიწა-წყალი, დაკარგული დაგვებრუნებინა და ჩვენს ქვეყანაში მეურნეობა აგვეყვავებინა, მათის მიზეზით მიწა-წყალიც ბევრი დავკარგეთ და ვერც სხვა რამ შევიძინეთ. ვის აფიქრებს მათი დანიშნულება და ის, როცა მათის შემწეობით გაკეთდებოდა ან აწ გაკეთდება? ორიოდე კაპეიკის განაწილება, როცა მათ მოგებად რჩებათ—აი ის სარგებლობა, როცა ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს.

ქართველი საზოგადოება დღემდის ვერ მისულა იმ შეგნებამდის, რომ თანამედროვე პირობებში ეროვნულ ცხოვრების გაუმჯობესება და ეროვნული ძლიერების შექმნა არ მოხერხდება გარეშე ეკონომიური საქმიანობისა; რომ ერის ქონებრივი მოღონიერება უცილობელი პირობაა მისი გონებრივი და ყოველმხრივი განვითარებისა. ვინც სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებს პირდაპირ თავის დანიშნულებას უკარგავს—ეკონომიური ძალების ამოძრავებას და გაძლიერების მიზანს აცილებს და სხვა წვრილმან განზრახვის მსახურად ხდის, ბოროტ-მოქმედებას სჩადის თავის ერის წინაშე. ასეთი ბოროტება კი გამეფებულია მრავალს ჩვენს სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში.

ახალი სავაჭრო და სამრეწველო ბანკი, რომელიც მოკლე მომავალში დაიწყებს მოქმედებას, თავის თავად, ბუნებრივად უნდა ჩაუდგეს სათავეში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას. ის გარს შემოიკრებს ყველა ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებს, სავაჭრო საზოგადოებებს და კერძო პირთ, რომელნიც აღებ-მიცემობას ეწევიან. ის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ბუნებრივ დედაბურად იქცევა და მასზედ იქნება დამოკიდებული თუ როგორი გზით წავა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება. ბოლოს მოელება ჩვენს ქვეყანაში ეროვნული სიმდიდრის დაკარგვას, ქონებრივ უმწეობასა და ეკონომიურ უძლურების დაქსაქსულობის ხანას. დაიწყება ჩვენთვის ახალი ეროვნული ცხოვრება ეკონომიური შემოქმედებისა, ქონებრივი და ყოველმხრივი ძლიერების შექმნისა, თუ ყოველივე წავა ძველის დაუძლურებისა და დაქვეითების გზით—დიდად არის დამოკიდებული ამ ახლად წარმოშობილ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების სვე-ბედზე.

დიადი საქმე განიზრახეს ამ ბანკის დამაარსებლებმა და დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მათ ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვითარება.

ა—თ.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ბრუსილოვის არმიის წინსვლის შესაჩერებლად გერმანელებმა თვით ვერდენის ოპერაცია შეანელეს და რეზერვები აქ მოაშველეს 75 ათას კაცამდეო. ეს ამბავი დიდიხანია რაც გავარდა, მაგრამ ამ ჯართა მოსვლის სინამდვილე ცერსად გამართლდა. გერმანელთა რკინის გზების იშვიათ კარგ მოწყობილებას თუ გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ 75 ათასი არც ისე დიდი რიცხვია, რომ მათი გადმოყვანა 7 დღეში არ შესძლებოდათ. თუ ეს ასე იყო, მაშინ უნდა გვეგულისხმნა, რომ გერმანელები იერიშებს გააფართოვებდნენ. ვინაიდან ამის გარდა კიდევ იტალიის ფრონტის შესუსტებასაც ამბობდნენ. როგორც სჩანს, ეს მხოლოდ ხმებია და მეტი არაფერი. თუ რამ გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება ხდება, ისევ რუსეთის ფრონტის რეზერვებიდან. რომ ეს ასეა სჩანს იქიდანაც, რომ ვერდენის ოპერაცია დღემდე არა თუ არ შენელდა, სიმძიმით წინანწარს უსწრობს. ვოს დაცემას მოჰყვა ტიომონის სიმაგრის დაცემა. ეხლა მთავარი ბრძოლა ხდება ფორტების პირველ ხაზზე და დამოუკიდებლივ ვერდენს ესვრიან უკვე. ეს ხაზია სუვილი, ულერი, კოტ-დე-ფრუატერი, შაპტერი და შენუა. ამნაირად მაასის მარჯვენა ნაპირზე ხსენებულ რაიონის მცლობები ფაქტიურად გერმანელთა ხელშია და ახლა მძიმე ზარბაზანთა წინ წაწევაზეა საქმე, რომ მალე ლიკვიდაცია მოახდინონ ვერდენის ოპერაციისა. იქნებ გერმანელთ ისე არასოდეს ჰქონდეთ საშური ამ ოპერაციის დასასრულებლად, როგორც დღეს. რუსეთის ფრონტი მათ არ აშინებთ, ბუკოვინა სტრატეგიული თვალსაზრისით დიდს არას წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ბუკოვინა თვალთმაქცი მარგალიტია, რომელსაც დიდი პოლიტიკური როლის შესრულება შეუძლიან რუმინეთის ნეიტრალობის საკითხში. უკვე გამოქვეყნდა, თუ ბრატიანუს პოლიტიკის გამო როგორ ორ ბანაკად გაიყო მთელი რუმინეთი და ლამისაა ერთმანეთს თვითვე შეეჯახნენ. ამის გარდა ვერდენის ოპერაციის დაშურება მით უფროა საჭირო, რომ გენერალისიმუსს ჟოფრს ხელი შეუშალოს ლაშქრობის დაწყობაში, რასაც, ხმა დადის, მალე უნდა ველოდეთ გენერალ ბრუსილოვის მხარის დასაჭერადაო.

X.

—

გუშინდელს „ბრძოლის ველზე“ შეცდომით იყო დაბეჭდილი: „ეს ათი კორპუსი სულ მთლად არის განადგურებული“. უნდა ყოფილიყო სულ მთლად არ არის განადგურებული.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიხა.**

**პეტროგრადი.** 17 თიბათვე. დასავლეთი ასპარეზი. ქალაქი კოლომი, უმთავრესი კვანძი ბუკოვინის რკინისგზისა ჩვენმა მარჯვენა ფრთამ დაიჭირა. მოპირდაპირე ისევ დასავლეთისკენ იწევს წინადვე დამზადებულ სანგრებისკენ. კიმპოლაუნგის ჩრდილო-დასავლეთით მტერი წამოწევას სცდილობს. მდ. ლიპის შესართავის ჩრდილო დასავლეთით მოპირდაპირის იერიშმა უშედეგოდ ჩაიარა. ლიპის მიდამოებში მტერი ახალ ბრძოლისთვის ემზადება. როგორც ახლა გამოირკვა 22 მაისიდან, 15 თიბათვემდე 212.000 კაცი დაგვიტყვევებია. ტყვეები მოჰყავთ... დნესტრის სამხრეთით ვსდევნით მოპირდაპირეს სოფელ პისტინთან (ქალაქ კუტის ჩრდილო-დასავლეთით) დიდი ბრძოლაა სტოხოდისა და სტირის შუა გერმანელები შემოტევას სცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დვინის ასპარეზზე რიგის და იქსკიულის სიმაგრით გერმანელები ზარბაზნებს უშენენ. ილიუქსტის ჩრდილოეთით გერმანელთა შემოტევამ უშედეგოდ ჩაიარა. მდ. ნემანის ნაპირებზე, ნოვოგრუდკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა ჩვენს თხრილებს ზარბაზნები დაუშინეს. ამ ნაირ მოქმედებით, იგი გადავიდა ნემანზედ და გნესიჩის აღმოსავლეთით ქალა დაიჭირა.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიშხანის მიმართულებით თურქებმა საშინელი ბრძოლა გამართეს, მაგრამ მალე დამარცხდნენ.

**პარიზი,** 17 თიბათვე. საღამოს ცნობა. ოკასონომის და რეიმსის შუა თავს დავესხით გერმანელთ, თხრილები და ტყვეები წამოვიყვანეთ. შამპანში, ტაგიურის ჩრდილოეთით ჩვენ გავანადგურეთ გერმანელთა სიმაგრეები მაასის მარცხენა ნაპირზე, „304“ სიმაღლის დასავლეთით გერმანელების იერიშმა უშედეგოდ ჩაიარა. ფლერისა, ვოს უბნებში და აიოკურის ტყეში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.

**რომი,** 17 თიბათვე. შტაბის ცნობა. მიუხედავად მტრის საშინელი წინააღმდეგობისა, ადიჯე ბრენტის შუა შეტევას განვაგრძობდით. ვალარსოში ალპიელმა მსროლელებმა იერიშით აიღეს მატარინეს სიმაგრე. ტაზუნიოში, მალგა-კამანიონის ახლოს რამდენიმე თხრილი დავიჭირეთ. ასის ღელის სამხრეთით გავძაგრდით და ცებიო-ცინგარელის ახლოს თხრილები დავიჭირეთ. ასპარეზის სხვა ადგილებში, კარსოს გარდა მდგომარეობა უცვლელია. 15 თიბათვეს, დავატყვევეთ 656 კაცი, მათში 21 აფიცერი; წამოვიღეთ 4 ტყვიისმფრქვეველი და სხვა იარაღი. დღეს დილით, მოპირდაპირის საფრენმა უხდინეში რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს; ერთი სამოქალაქო საავადმყოფოს დაეცა. მოჰკლა ორი ქალი და ერთი დასჭრა, ნივთიერი ზარალი არა ყოფილა.

# ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი

(ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულებიდგან)

(გაგრძელება. იხ. „საქართ.“ № 132.)

რუსეთის ჯარი უკვე მოზდოკში იყო მისული და საქართველოსაკენ გასამგზავრებლად ირაზმებოდა. იგი შესდგებოდა: ერთი პოლკი ტომსკის ქვეითი ჯარისა, ერთი მუშკეტრთა როტა, ორი ესკადრონი ყარბინერთა, ორი ესკადრონი ცხენოსანთა, 200 დონის ყაზახი, 300 ყალმიკი. თორმეტი საველე ზარბაზანი, რიცხვით ოფიცერი 106, უნტერ-ოფიცერი, გაარელი და ჯარის კაცი 3302 და სხვა მოსამსახურენი 359—სულ 3767 კაცი. აი მთელი შემადგენლობა საქართველოსაკენ გამომგზავრებული რუსეთის მხედრობისა.

მოზდოკიდანვე ტოტლებენმა ბრძანება გასცა ოსების მამასახლებზე, რათა თერგზედ საქართველოს საზღვრამდის ხიდები გაეკეთებინათ. ადვილი წარმოსადგენია თუ რას წარმოადგენდა იმ ხანად ის გზა, რომელზედაც რუსეთის პირველ მხედრობას უნდა გამოევლო და რომელსაც შემდეგ საქართველოს სამხედრო გზა უწოდეს. დღესაც პირქუშია და დაუნდობელი ეს გზა, დღესაც, როდესაც მასზე მთელი ქვეყნის ფულები და ცოდნაა დახარჯული ბევრს გაუმჯობესებასა და შეკეთებას მოითხოვს. და თუ ასეა ეხლა, მაშინ ადვილად წარმოსადგენია ამ თითქმის ორი საუკუნის წინათ რას წარმოადგენდა იგი. ექვს ადგილს მარტო დარიალის ხეობაში ოსებმა გააკეთეს ხიდები და ოთხს ადგილას ქართველებმა, ორას კაცზედ მეტი იყო გაგზავნილი რუსეთის მხედრობის საშველად დარიალის ხეობაში ერეკლე მეფის განკარგულებით. ხელითა და ზურგით გადაჰქონდათ თერგზედ მძიმე ზარბაზნები, ტყვია წამლის ყუთები და სხვა სამხედრო სურსათი. ამ ყოფითა და ვაი უშველებლით ძლივს განვლო რუსეთის მხედრობამ ათი ვერსი დარიალის ხეობაში სამის დღის განმავლობაში და რის ვაი-ვაგლახით მივიდა სოფელ სტეფან-წმიდაში.

სტეფან-წმინდიდგან ტოტლებენმა შეატყობინა ერეკლე მეფეს, რომ რუსეთის მცირე მხედრობით ფეხი შემოვდგი თქვენს სამფლობელოშიო, გამოგზავნილი ვარ იმერეთის მეფე სოლომონთანაო, გთხოვთ გაგვატაროთ თქვენს სამფლობელოზედაო და ბრძანება გაეცით ჯარების სურსათით უზრუნველ საყოფელადო. ამასთანავეო, უმატებდა ტოტლებენი, გადმოსაცემი მაქვს თქვენთან საიდუმლო მონდობილებანიო. ერეკლემ საჩქაროდ უპასუხა, რომ ბრძანება გაცემულია და თავადს ქაიხოსროს მინდობილი აქვს გიშოვნოთ სურსათი და ყოველივე თქვენი მოთხოვნილება დააკმაყოფილოსო. ჩქარა თითონ მეფეც წამოვიდა თბილისიდან რუსეთის მხედრობის შესახვედრად, დაიბანაკა სოფ. ხოდასთან არაგვის ხეობაზედ, კაცები გაუგზავნა ტოტლებენს და თავისთან მოიწვია. 29 აგვისტოს დიდებულად მიიღო ტოტლებენი ერეკლემ. თვით მეფე, ამბობს მოურავოვი, 48 წლისაა, მეტად ახოვანის შეხედულობისა, რომელთანაც შეერთებულია გმირობა და დიდსულოვნობაო. ლაპარაკი მეტად გონივრული აქვს და ყოველს მის სიტყვაში სიბრძნე და მეფური ნიჭი გამოსჭვივისო. მეფეს თან ახლდა ორი ვაჟიშვილი, გიორგი და ლევანი, კარის მარშალი და დავით ორბელიანი და მრავალნი წარჩინებულნი და დიდებულნიო. ჩვენ აქ დაწვრილებით არ ავწერთ ყოველივე წვრილმანს ამ დახვედრისას, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და ნამდვილს მიზანს წერილისას დაგვაშორებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ მეფემ დიდის პატივით მიიღო ტოტლებენი, კარგად გაუმასპინძლდა, რომლის დროსაც ტოტლებენმა იმპერატრიცს ეკატერინასაგან გამოტანებული საიდუმლო წერილი გადასცა, რომლითაც ეკატერინა სთხოვდა მონაწილეობა მიეღო და დახმარება გაეწია რუსეთის ჯარისა და სოლომონისათვის ოსმალეთთან ბრძოლაში. ერეკლემ აღუთქვა, რომ როგორც წინად დავპირებივარ ეხლაც ხელახლავ პირობას გაძლევთ რომ ჩემს სიტყვას არ გადავალ და თქვენთან ერთად გავუმკლავდები ოსმალეთს და სათანადო განკარგულებანი კიდეც გაცემული მაქვს. ამასთანავე, დასძინა ერეკლემ, ეს მცირე რიცხოვანი ჯარი საკმარისი არ არისო და უსათუოდ საჭირო კიდევ მომატება არა ნაკლებ 5000. თუ ჩემი თხოვნა შესრულებული იქნება და ჯარებს კიდევ მოგვაშველებთო, მაშინ ცუდს საქმეს დავმართებ ოსმალეთსაო, დიდათ ვაზარალებ სათათრეთსაო და ისეთს სამსახურს გაუწევ რუსეთის მთავრობას, რომელიც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბებსო. თუ ახალი ჯარები მოვა, იმათს შენახვას მე ვიკისრებო ამბობს მეფე, ზარბაზნებიც საკმარისი მაქვსო, თუმცა მრავალი წამხდარიაო, მაგრამ მათი გასწორება ადვილიაო და საჭირო მხოლოდ რუსეთმა ამისთვის საჭირო კაცი გამოგზავნოსო.

ტოტლებენმა იმედი მისცა და აღუთქვა იმპერატრიცა ეკატერინას სახელით, რომ ყოველივე მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნება ამავე შემოდგომაზედაო.

აქედგან ტოტლებენი პირდაპირ იმერეთისაკენ გაემგზავრა და 26 სექტემბერს უკვე იმერეთის საზღვარზედ მდებარე სოფელ კორტოხში იყო. მეორე დღეს მოვიდა სოლომონ მეფე თავისის ამალით, რომელშიც ერია ძმა მეფისა ქათალიკოზი იოსები და ასამდის მხლებელი. სოლომონ მეფეო, ამბობს იგივე თარხანოვი თავისს წერილებში, 35 წლისაა, საშუალო ტანისა, მოყვანილი სახე აქვს, წვერს იპარსავს, ტანთ აცვია ყომრელი ტანისამოსი, შეხედულობა აქვს მეტად მკაცი და შეუპოვარი, გატენილს თოფსა და დამბაჩას მუდამ თან ატარებს, ხანჯალი და ხმალი მისი განუყრელი მეგობრები არიან, ლაპარაკში ქარაფშუტაა და ისეთი უბრალო საქციელი და მიხვრა-მოხვრა აქვს, რომ თუ კაცი პირადათ არ იცნობს ძნელად გაარჩევს სხვებში.

ტოტლებენმა გამოუცხადა სოლომონს, გამოგზავნილი ვარ მთელი იმერეთი თქვენს მორჩილებაში მოვიყვანოვო, განვდევნო თქვენის სამეფოდამ ოსმალები თუ სადმე მოიძებნებიანო და შემდეგ ორნივე შეერთებულის ძალღონით შევესიოთ ოტომანის იმპერიასო.

კორტოხიდამ ტოტლებენი სოლომონის რჩევით შორაპნის ციხის ასაღებად გაემართა სადაც იმ ჟამად მარტოლა 23 მეციხოვნე ოსმალო იმყოფებოდა. გარდა ამისა ციხეშივე თავიმოეყარნათ ბევრს ადგილობრივ მცხოვრებთ, რადგანაც უკვე სამის თვის წინედ გავრცელებული ხმები, რომ ჩქარა 30 ათასი რუსეთის მხედრობა მოდის იმერეთშიო. მეციხოვნეთ სოლომანმა კაცი გაუგზავნა და შეატყობინა რუსეთის მხედრობა უკვე მოვიდა და თუ უომრად დაგვნებდებით, არაფერს გავნებთ და საითაც გინდათ იქით წახვალთო. მაგრამ გმირმა მეციხოვნეებმა ცივი უარი შეუთვალეს სოლომონს, სულერთიან გავწყდებით და ციხეს კი არ ჩაგაბარებთო. ჩვენ სულთანის მონები ვართ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დავიცავთ მის სახლსა და სამფლობელოსაო.

ამ ცივ უარის შემდეგ გადასწყვიტეს ციხისთვის ალყის შემორტყმა და მეციხოვნეთა ძალით ხელში ჩაგდება. მაგრამ ვიდრე ციხეს ალყას შემოარტყამდნენ, სოლომონ მეფე იძულებული იყო გასცლოდა ტოტლებენს, რადგანაც არა სასიამოვნო ამბავი მოუვიდა თავისს სამფლობელოდგან. სამეგრელოს მთავარი ვაცია დადიანი 40 ათასის თავისის ჯარით და 2 ათას ოსმალოთი შემოსეოდა სოლომონის სამფლობელოს და იკლებდა და აწიოკებდა მცხოვრებთ. სოლომონი ამიტომ ფიცხლავ იქით გაექანა და შორაპნის ალყა მიანდო ტოტლებენს, რომელთანაც სანოვაგის საშოვნელად და დასახმარებლად დასტოვა ძმა თავისი ქათალიკოსი იოსები და სამი თავადიშვილი.

ალყის შემორტყმულს შორაპნის ციხეს ვერაფერი დააკლო ტოტლებენმა. არწივის ბუდესავით კლდეებში გამაგრებულს ციხეს მედგრად იცავდა მცირე რიცხოვანი ჯარი ოსმალთა და არას გზით არ ნებდებოდა რუსეთის მხედრობას. ამიტომ ოთხის დღის უნაყოფო ალყის შემდეგ მიატოვა ციხე ტოტლებენმა, მით უმეტეს, რომ სანოვაგის უქონლობამ საქმე გაუჭირა იმერეთში, აიყარა სრულიად იმერეთიდგან, გადმოვიდა ქართლში და ცხინვალსა და გორში დაბანაკდა.

ამავე დროს განმავლობაში სოლომონმაც საჩქაროდ სძლია სამეგრელოს მთავარს, დაიფრინა იმერეთიდგან და 900 კომლი გლეხკაცობა ჩამოსჭრა მის სამთავროს და იმერეთს შემოუერთა.

კარგა ხანს დარჩა ცხინვალში ტოტლებენი. აქვე მიიღო იმპერატრიცასაგან გამოგზავნილი წერილი, სადაც აუწყებდნენ, რომ მისი სახელით მეფე ერეკლესათვის დაპირებული ჯარები ვერას გზით ვერ გამოიგზავნებაო, რადგან მთავარ ასპარეზზედ ჯარების დასუსტება შეუძლებელია და ურჩევდნენ თვით მეფეები საკუთარის ძალღონით შესეოდნენ ოსმალეთს.

მაგრამ მიუხედავად ამისა რამდენიმე როტა ჯარის კაცისა, საჭირო ტყვია-წამალი და ზარბაზნები მაინც გამოუგზავნა მოზდოკში, საიდგანაც ახალი კომენდანტი ნეიმიჩი ატყობინებდა, რომ კავკასიის ქედზედ გაუვალის გზებისა გამო ამ ჟამად ყველა ამის გამოგზავნა შეუძლებელიაო. ტოტლებენი თვითვე გაიჭრა მოზდოკში, არ შეუშინდა ქარბუქსა და ყინვა-თოვლით ჩამოლესილს კავკასიონის ქედს, რათა თითონვე მოეწყო იარაღის გადმოტანის საქმე. 22 დეკემბერს განშორდა თავისს ლაშქარს ცხინვალში და ჯარების გამგეობა დროებით თარხანოვს ჩააბარა.

ამ რიგად დამთავრდა პირველი ფეხის შემოდგმა რუსეთის მხედრობისა საქართველოში. დუნე იყო და გაუბედავი იგი, მაგრამ იმას, რასაც შემდეგ დავინახავთ, სრულიად დაჩრდილავს ამ პირველ უხეშ ნაბიჯს რუსეთის ლაშქრობისას.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ესად-ფაშა**

„ვოს. ცაიტუნგის" სიტყვით ესად-ფაშას სტამბოლში სიკვდილი მიუსაჯეს. ესად-ფაშა პარიზში ცხოვრობს. მისი ქონება და სახახლე სტამბოლში ჩამოართვეს და სახაზინოდ ჩარიცხეს.

**ტემეშვარის გამაგრება მადიარებისგან.**

„უნივერსალის" ცნობით, მადიარები მხნედ ამაგრებენ ტემეშვარს. დილიდან საღამომდის ავსტრიელ აფიცერთა ზედამხედველობით ამუშავებენ ტყვე რუსებს. ადგილობრივი მცხოვრებნი დიდად შიშობენ და ყოველ დღე ელოდებიან რუმინეთის გამოსვლას—ცენტრალ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

**ბერძნების დასჯა სტამბოლში.**

„ნეა ჰელოს"-ის ცნობით, სტამბოლში დააპატიმრეს რამდენიმე ბერძენი ჯაშუში. შეპყრობილთაგან ბევრი დასაჯეს აჰმედის მოედანზე.

**ლიბკნეხტის საქმე.**

ბერლინიდან იტყობინებიან: ლიბკნეხტი სახელმწიფო ღალატისათვის პასუხისგებაშია მიცემული. მის საქმეს სამხედრო სასამართლო 28 თიბათვეს გაარჩევს.

**არაბეთი.**

ლონდონიდან იტყობინებიან: პრესა დიდ ყურადღებას აქცევს არაბეთის ამბოხებას და დასძენს. ეს ამბავი ყველგან მუსულმანების ნდობას გამოიწვევს. დიდი შერიფი დასავლეთ და შუაგულ არაბეთში განსაკუთრებული ნდობით არის აღჭურვილი.

ვიდრე მექაში ამბოხება მოხდებოდა, ჯერ ბელში აჯანყდა ხალხი, საიდანაც ოსმალნი გამოდევნეს. მუსულმანთა სასულიერო დედა-ადგილი ქერბელა, სპარსთა ქალაქად ითვლება ოსმალეთის მიწა წყალზე.

# ახალი ამბავი

◆ **სამეურნეო ბანკის გამგეობამ** გვირგვინის ნაცვლად განსვენებულ ალექსანდრე ყიფშიძის ხსოვნის აღსანიშნავად, როგორც ამ ბანკის წევრისა, 300 მანეთი გადასდო მის ნაწერების გამოსაცემად, რომელიც სხვა და სხვა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებშია დაბეჭდილი.

◆ **წყალი.** რაც დღე გადის, წყლის მილები თანდათან უფრო ცოტა წყალს იძლევა. ხალხი დიდს გასაჭირშია. 17 თიბათვეს ქალაქის გამგეობის განკარგულებით ზოგიერთ უბნებში იმ მილებთან მისცეს ხალხს წყალი, ცეცხლის საქრობად რომ ინახება. რადგან ზოგიერთ მილებში ღამ-ღამობით მოდის წყალი, განკარგულება არის გაცემული, ასეთ მილებიდან ღამით ეძლიოთ წყალი. ინჟენერმა ლ. ნ. დიასამიძემ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ განაპირა უბნებში მაინც წყლის მიწოდების საქმე თითონვე გამგეობამ მოაწყოს. ამ საქმისთვის ქალაქს შეუძლიან ამუშაოს ცეცხლის მქრობელ რაზმის ცხენები და მკვიდრო ბოჭკებით მიაწოდოს წყალი.

◆ **ნიხრის დამტკიცება.** თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქ. დუშეთის საქალაქო გამგეობის მიერ შემუშავებული ნიხრი პირველ საჭიროების სანოვაგისა.

◆ **ფქვილისა და ყველის ნიხრი.** თბ. გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას. რომ იგი წინააღმდეგი არაა ყველზე და ფქვილზე ნიხრის შეცვლისა.

◆ **კავკასიის გზათა ოლქის** გამგეობაში 16 თიბათვიდან დაიწყო თათბირი სამხედრო ოსეთის გზის ზექარის უღელტეხილით, შესაერთებლად კავკავის ოლქთან, საიდანაც შესაძლებელი იქნება სურსათის შემოზიდვა. ქუთაისის გუბერნიის მხრივ თათბირში მონაწილეობას იღებს სოხუმის ქალაქის თავი თ-დი ნ. თავდგირიძე.

◆ **ხეირნობა.** თბ. გუბერნატომა ნება დართო ქ. შ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილებას 29 თიბათვეს სეირნობა გამართოს თელავში თვის საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ **კომერციულ ცოდნის გამავრცელებელ** საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დღესაა დანიშნული დილის 11 საათზე, თბ. მეორე საკომერციო სასწავლებლის ბინაზე. განსახილველია წლიური ანგარიში და საკითხი გაბაშვილების მამულის დამტკიცების შესახებ ამ საზოგადოებაზე.

◆ **მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება.** თბ. გუბერნიის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება მომავალ წლიდან აწყობს სისტემატიურ კურსებს ყველა ადგილობრივ ენაზე. კურსებს საპედაგოგო და საზოგადო განათლების ხასიათი მიეცემა.

# ქართული სახალხო სკოლების მასწავლებელნი

## და იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები.

12 თიბათვე ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს ქართული სკოლის ახალ ხანაში. ამ დღეს, როგორც ქვემოდ დავინახავთ, იმდენი სალი შეხედულობა გამოითქვა სწავლა-აღზრდის შესახებ, რომ სწორედ განსაცვიფრებელია, —სახალხო სკოლების მასწავლებლების შეგნებულებამ ასე შეუმჩნევლად როგორ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე!

აღნიშნულ 12 თიბათვეს ცალკე კრება ჰქონდა სახალხო სკოლების მასწავლებელთა საზოგადოების ქართულ სექციას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვარ ბურჯანაძე. კრების საგანს მომეტებულ ნაწილად შეადგენდა ღირსება-ნაკლულევანების დაფასება სკოლების სახელმძღვანელო წიგნებისა. კრება კერძოდ შეეხო იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს და ამ წიგნების გამო ვრცელი დებატება გაიმართა პედაგოგიური ხასიათისა.

**ბ-ნმა ვარ. ბურჯანაძემ** აღნიშნა, რომ მასწავლებელთა უკანასკნელ ყრილობაზე რუსეთში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვით შედგენილ უნდა იქმნას სკოლებში სახმარებლად რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ენციკლოპედიას. წიგნში უნდა იყვეს მოთავსებული ცნობანი ყოველგვარ სამეცნიერო დარგიდან: გეოგრაფიიდან, ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, ვარსკვლავთმრიცხველობიდან, ლიტერატურიდან და სხ. ამასთან მთელი მასალა აგებული უნდა იყვეს კონცენტრიულ სისტემაზე დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი სწორედ ასეთი სისტემის მიმდევარი იყო და იმის სახელმძღვანელო წიგნები აღნიშნულ სისტემით არის შედგენილი. პედაგოგიკა თანდათან წინ მიდის, მასში ახალი მიმდინარეობა იჩენს თავს და, რასაკვირველია, გოგებაშვილის წიგნებსაც აღნიშნულ ახალი მიმდინარეობის მიხედვით სჭირდება შესწორება: ზოგი მასალა უნდა გამოაკლდეს და ზოგიც ჩაემატოს. განსვენებულმა მთელი თავისი ნაწარმოები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. ანდერძის ძალით ხსენებულ საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს წიგნები შეასწოროს პედაგოგიის იხალ მოთხოვნილების მიხედვით. გამგეობამ „რუსკოე სლოვო"-ს I და II ნაწილი შეასწორა, მაგრამ სრულიად შეუსწორებელია „დედა-ენის I და II ნაწილი და „ბუნების კარი".

წერა-კითხვის საზოგადოებას ეს წიგნები 12,000 მანეთამდე სარგებლობას აძლევს წელიწადში და ამ ფულებით სკოლებს ინახავს საზოგადოება. ეს წყარო რომ მოესპოს საზოგადოებას, სკოლებიც დაიკეტება. გოგებაშვილის წიგნებს მის სიცოცხლეშიაც ბევრი მტერი ჰყავდა და ამ უკანასკნელთა რიცხვმა კიდევ უფრო იმატეს გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ. ერთი ძლიერი მტერთაგანი არის თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ოდოევი, რომელიც დიდად მეცადინეობს, რომ მასწავლებელთა დახმარებით სკოლიდან განდევნოს გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო", ასეთ პირების ლტოლვილებას მასწავლებლებმა ანგარიში უნდა გაუწიონ და არას შემთხვევაში არ დაემორჩილონ მათს წინადადებას.

**ბ. გრ. ბურჭულაძე** აცხადებს, რომ აუცილებლად საჭიროა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვა ჩვენს სკოლებში იმ მოსაზრებით, რომ ეს სახელმძღვანელოები აგებულია ეროვნულ თავდაცვის პრინციპებზე და გარდა ამისა ამ სახელმძღვანელოების მთელი შემოსავალი, რაიცა 12,000 შეადგენს წლიურად, ხმარდება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლებს. წიგნები კი მოითხოვს შესწორებას, რაიცა მასწავლებელთა ზნეობრივ მოვალეობას შეადგენს.

**ბ-ნი გრ. მაჭავარიანი** ამტკიცებს, რომ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო საღ პედაგოგიურ პრინციპებზეა დამყარებული. დიდი ხანია გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გარშემო ატეხილი კამათი, მაგრამ მოკამათეთა უმრავლესობას კერძო ინტერესები უფრო ამოძრავებს, ვინემ ჩვენს სკოლების კეთილდღეობაზე ზრუნვა. ვიცით, თითოული ჩვენგანი გრძნობს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს აქვს ნაკლი, შესწორება ესჭირვება, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ განსვენებულის სახელმძღვანელოები გავდევნოთ სკოლებიდან. საჭიროა მხოლოდ, რომ შეერთებული ჩვენი საუკეთესო პედაგოგების ძალებით შესწორებულ იქმნეს იგი სახელმძღვანელოები. ბოლოს ორატორი განცვიფრებული ეკითხება თბილისის საქალაქო სკოლების მასწავლებლებს, რომელთაც განუდევნიათ თავიანთ სკოლებიდან „რუსკოე სლოვო"-ს I ნაწილი: რომელი პედაგოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდით ამ შემთხვევაში?

**ბ-ნი ს. მუმულია** დარწმუნებულია, რომ იმათთვის, ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ხალხის ისტორიისათვის უკანასკნელ დიდი ხნის განმავლობაში, საიდუმლოებას არ შეადგენს, თუ რა პოლიტიკა ამოძრავებს ოდოევს და მის მომხრეებს, როდესაც ისინი სდევნიან ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ჩვენი სკოლებიდან. არავისათვის, ორატორის ღრმა რწმენით, დამალული არ არის ის ფაქტი, რომ ბიუროკრატიამ საქართველოში შემოსვლისათანავე ქართველი ხალხის გადაგვარების მისაწევ იარაღად მან გაიხადა სკოლა, სადაც იზრდება მთელი ჩვენი მოზარდი თაობა. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები აგებულია იმისთანა პრინციპებზე, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქართველი ხალხის გულთან და სულთან, იმათში მოთავსებული მასალა დაკავშირებულია ქართველების ეხლანდელ და წარსულ ცხოვრებასთან. როგორც ასეთი, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მაგარ კედლად ეღობება წინ ბიუროკრატიას. სხვებთან ერთად ბ-ნი მუმულიაც იმ აზრის არის, რომ წიგნებს შესწორება ესაჭიროება, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მასწავლებლების მოვალეობას შეადგენს მთელი თავიანთი ძალ-ღონით დაიცვან აღნიშნული სახელმძღვანელოები თავიანთ სკოლებში, ვინაიდან ამას მოითხოვს ქართველების ეროვნული ინტერესები.

**ბ-ნი ს. ბარათაშვილი** წინადადებას აძლევს ქართულ სექციას გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვის შესახებ გამოიტანოს რეზოლიუცია და იგი სავალდებულო გახადოს ყველა მასწავლებელთათვის.

**ბ-ნი ლ. ჩიმაკაძე** გადაჭრით მოითხოვს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვას ჩვენს სკოლებში, რათაც უნდა დაჯდეს ეს, რადგან ის პრინციპები, რომლებზედაც დამყარებულია ხსენებული სახელმძღვანელოები, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქართულ სკოლისათვის.

**ბ-ნი გრ. ბურჭულაძე** მოითხოვს, რომ არა მარტო ქართველმა მასწავლებლებმა, არამედ თბილისის გუბერნიის ყველა მასწავლებელთა კრებამ გამოიტანოს საჭირო რეზოლიუციები გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დაცვის შესახებ, რადგანაც ასეთ დადგენილებას მეტი ძალა ექნება. შესწორება წიგნებისა-კი ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რისთვისაც მოწვეულნი უნდა იქმნენ როგორც მომხრენი ამ სახელმძღვანელოების, აგრეთვე მოწინააღმდეგენიც.

**ბ-ნ გ. იმნაიშვილის** აზრით შეუსწორებლობის გამო ბაზარი ეკარგება ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს და ეს საზარალოა საერთო საქმისათვის. ამიტომ ორატორი მოითხოვს გამოტანილ იქმნას ამის შესახებ რეზოლიუცია და ეთხოვოს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობას დააჩქაროს სახელმძღვანელოების შესწორება.

**ქ-ნი ეკ. ლორთქიფანიძისა** (თბილისის საქალაქო სკოლის გამგე) აღიარებს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები ქალაქის სკოლებიდან განდევნილია და ეს გამოიწვია წიგნების უვარგისობამ. შესწორებამდისინ ორატორს შეუძლებლად მიაჩნია ამ სახელმძღვანელოების ხმარება სკოლებში.

**ქ-ნი მ. ვახვახიშვილ-წერეთლისა** (ქალაქის სკოლის მასწავლებელია) სრულიად უვარგისად სცნობს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს და შეუწყნარებლად მიაჩნია მათი შეტანა სკოლაში იმ სახით, როგორიც დღეს არის. ორატორის აზრით ხსენებულ სახელმძღვანელოებში არც მეთოდი ვარგა, არც სისტემა და არც მასალა. ამიტომ ეს წიგნები ძირიანად უნდა შეიცვალოს, მაგრამ მერმეთ ის წიგნები ი. გოგებაშვილის აღარ იქნება.

**ქ-ნ ტერ. ხმიადაშვილის** აზრით ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნები კარგი მეთოდით არის შედგენილი, მხოლოდ მასალა ყოვლად უვარგისია და ამიტომ მთელი მასალის გამოცვლაა საჭირო. მაგრამ რათა წ. კ. საზ.-ბამ ზარალი არ ნახოს ვინაიდან ეს სახელმძღვანელოები დიდს სარგებლობას აძლევს ამ საზოგადოებას, საჭიროა შესდგეს კომისია, შეადგინოს ახალი სახელმძღვანელო და შესწიროს იგი წერა-კითხვის საზოგადოებას.

**ქ-ნი ე. შიუკაშვილი** მოითხოვს ღირსების და ნაკლულევანების დასაბუთებას იმ პირთაგან, რომელნიც აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე ბევრს ლაპარაკობენ.

თავმჯდომარემ საგანი გამორკვეულად სცნო და დამთავრდა.

კრებამ, რომელიც 52 კაცისაგან შესდგებოდა, ერთხმად, წინააღმდეგ ქ-ნ მ. ვახვახიშვილი-წერეთლისა, შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1916 წ. 12 თიბათვეს ჩვენ თბილისის გუბერნიის ქართველ მასწავლებლებმა ვიქონიეთ მსჯელობა ქალ. თბილისში ი. გოგებაშვილის რუსული ენის რუსული სახელმძღვანელოების შესახებ და დავადგინეთ, რომ ყველა მასწავლებლებს ევალება თავიანთი სკოლებში რუსული ენის სწავლება აწარმოვოს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით. ხოლო რათა განსვენებულის ანდერძი ავასრულოთ და წერა-კითხვის საზოგადოებას ნივთიერი ზარალი არ მიეცეს წიგნების ბაზრის დაკარგვით, ევალება თვით მასწავლებლებს, რომ იმ ცვლილებათა შესახებ, რომელნიც შეტანილ უნდა იქმნას ხსენებულ წიგნებში, თავიანთი მოსაზრება წარმოუდგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას.

# დაბა-სოფლები

**ხევი** (საქართ. სამხედრო გზა). კვირას, 12 თიბათვეს, ქვემოხევის ამორჩეულმა ოცის თავებმა თავი მოიყარეს სტეფანწმინდის სკოლის დარბაზში და დაადგინეს შემდეგი განაჩენები: 1) უნდა შეარიგონ ყოველი ის პირნი, რომლებიც მკვლელობით გადამტერებულები არიან ერთი ერთმანეთზე. 2) უნდა გაიხსნას სოფ. სტეფანწმინდაში კოოპერატიული მაღაზია და განყოფილება მისი იყვეს სოფ. ახალციხეში, როგორც ხევის შუაგულში. 3) შემოკლდეს მიცვალებულებზედ უზომო ხარჯები, რაც ომის მიზეზით ერთი სამად და ოთხად დაძვირდა და ხალხს ცხოვრების სახსარი გამოელია. 4) მატყლი არ უნდა მიჰყიდონ შინაურს თუ გარეულს ჩარჩებს და მეცხვარეებს არ შეეძლოთ გაყიდვა ვისზედმე, თუ არა ერთის პირით და 5) უნდა მოისპოს არყის გაყიდვა, რადგანაც ლოთობით ხალხი ბევრს სიღარიბეს და ეკონომიურად ჩამორჩენას განიცდის.

დიდი მადლობის ღირსია ქვემოხევის მამასახლისი ჯუღელი ალექსანდრე სვიმონის ძე ფიცხელაური, რომელმაც ძირითადი თანხისათვის კოოპერაციას შესწირა საკუთარი ფული ასი მანეთი. დიდად სასიამოვნოდ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაც იქ ხალხი დაესწრო ყველამ მოისურვა ამ სავაჭროს წევრობა და საწევრო ფულიც დიდის სიხარულით გადაიხადეს. ორის საათის განმავლობაში 60 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

იმედია იქ სადაც ხალხი ასე ხალისიანად ეგებება კეთილს დასაწყისს და ნდობას უცხადებს მეთაურებს, საქმე კარგად წავა. რაც შეეხება მესისხლეების შერიგებას, ამაზედ 19 საპატიო კაცია დანიშნული და ისინი უნდა ეცადნენ, რომ ეს გადამტერებული გვარები შეარიგონ. ამისთანა გვარები შვიდი არის ხევში და თუ შერიგება არ მოხდა ანუ რომელიმე გვარი უარს განაცხადებს შერიგებაზე, იმას თემი ბოიკოტს და ზიზღს გამოუცხადებს და იშუამდგომლებს მთავრობასთან, რომ ჩვენის თემიდან გადაასახლებენ განაჩენით. აქ გადამტერებული გვარები მარტო თავისთვის არ არიან დამღუპველ-დამაზარალებელნი, არამედ მთელს ხევსაც დიდს ზარალს აყენებენ, რადგანაც ამ გვარების ნაოჯახობაშიაც შური, მტრობა და შფოთი არსებობს და ხალხი ნახევარი ერთურთს არ ელაპარაკება, რის გამოისობითაც სათემო კარგი დაწყობილება ხალხს ერთის პირით ვეღარა დაუარსებია რა, რაკი მტრობა წინ ეღობება ყოველს კეთილს საქმეს.

კალმის-წვერა.

# თეატრი

**ხონი.** წელს აქ დაარსდა დრამატიული საზოგადოება, რომელიც უკვე შეუდგა სეზონის საქმეს. მოიწვიეს შემდეგი მსახიობნი: ქ-ნი: მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე, ბ-ნი მ. ნემო, ა. მურუსიძე და ალ. ყალაბეგიშვილი (უკანასკნელი მოწვეულია რეჟისორად). სეზონი დაიწყება შაბათს, 18 ივნისს, წარმოდგენილი იქნება „სამშობლო". დასში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოყვარენიც: ქ-ნი ლ. ჩხენკელისა, მ. ბალანჩივაძე, ფ. ბახტაძე, და ლ. ჭანტურიშვილი. ბ-ნი ილ. რუხაძე, ი. ჭავჭავანიძე, რ. წივწივაძე, დ. მებუკე, კ. ქუთათელაძე, ამ. ბახტაძე და სხვანი.

კვირას, 19 ივნისს გამართება მეორე წარმოდგენა. წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

**ბათუმი.** კვირას, 19 თიბათვეს მარო მდივანის საბენეფისოდ, ა. კავთელისა და ი. ბარველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ცნობილი დრამა „სიმახინჯე". „სონას" როლს შეასრულებს მ. მდივანი, „დარეჯანს" ა. კავთელი, „საბას" ი. ბარველი. შემდეგი წარმოდგენა 26 თიბათვეს. „ნინოშვილის საღამო".

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**ვამზადებთ**

პირობით ხელმისაწდომ ფასებში

**პრაპორშჩიკთა შკოლისათვის**

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

**ა. დ. შაჰაბაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

◆ პროვიზორის აჯვლედიანისა ◆

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ექიმი

**დ. კ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

**მ. ი. ვაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

კბილის ექიმმა

**მამულაიშვილმა**

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ორთაჭალის ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი **საზოგადოება**, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ® თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის** წყალია **მომზადებული** სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან**, **ნამდვილი** და **საუკეთესო ხილის** წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „უმუშოზნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.